პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 93 (1263) | შაბათი, 5 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

# თბილისში ჩატარდება საერთაშორისო მოტორბოლა




საბჭოთა და უცხოეთის ქვეყნების სპორტსმენთა ურთიერთმეგობრობისა და მათ შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, მიმდინარე წლის 25 და 26 ოქტომბერს თბილისში გაიმართება საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება მოტოკროსში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, პოლონეთის, უნგრეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიის, შვეციის, ფინეთის, ინგლისის, ავსტრიის, დანიის, რუმინეთის, ჩინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები. საბჭოთა სპორტის სახელს დაიცავენ სსრ კავშირის, რსფსრ-ს და საქართველოს ნაკრები გუნდები. თვითეული კოლექტივის 2-2 სპორტსმენი გამოვა 125, 350 და 500 კუბატურიანი მოცულობის მოტოციკლებზე.

საერთაშორისო კროსი მოეწყობა „ბურევესტნიკის" სტადიონის ტერიტორიაზე. პირველ დღეს სპორტსმენები გაივლიან 8, ხოლო მეორე დღეს — 12 წრეს (იხ. ნახატი), რომელთა ჯამში ნაჩვენები დრო გამოავლენს გამარჯვებულებს.

# საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის დებულების მნიშვნელოვანი პუნქტი

ჩვენს წინაა საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის დებულება. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი უკვე კარგა ხანია რაც ძალაში შევიდა და საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის საქმიანობას. უკვე გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა ყველგან და, რასაკვირველია, ჩვენთანაც. ყველა რაიონში, ქალაქში, ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში შეიქმნა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ პასუხისმგებელი ამხანაგები. უკვე იხაზება ნაკრები გუნდების საორიენტაციო კონტურები.

საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაში (ყველა ეტაპზე) ორ მილიონამდე კაცი მონაწილეობდა. გამოვლინდა 1.400 ათასი თანრიგოსანი და 2.000 ოსტატი, გაუმჯობესდა 500 საკავშირო და 100 მსოფლიო რეკორდი. როგორც ვხედავთ, შედეგები შესანიშნავია, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც II სპარტაკიადა ითვალისწინებს. სწორედ ამიტომ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ბრძანებაში ეს საკითხი განსაკუთრებით ხაზგასმულია.

როგორც ვიცით, II სპარტაკიადის დებულება მრავალ სიახლეს ითვალისწინებს. პროგრამას დაემატა შავიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, მოტორბოლა, აკადემიური ნიჩბოსნობა. ამას გარდა, ზოგიერთ სახეობაში შეიცვალა ჩათვლის პირობები. ეს ყველაფერი მოსალოდნელი და აუცილებელი იყო. მაგრამ დებულებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-5 პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ ნაკრები გუნდების პარალელურად სპარტაკიადაში მონაწილეობენ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები. ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან ველორბოლაში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვასა და ძალოსნობაში.

ამრიგად, ნაკრები გუნდების მხარდამხარ რესპუბლიკის სპორტულ სახელს დაიცავენ ჩვენი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები. ეს მართლაც მნიშვნელოვანი პუნქტია დებულებაში. ვინ გამოვა რესპუბლიკის სახელით ამ უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებაში? ამას მომავალი დაგვანახებს. ახლა ერთი ცხადია, რომ საქართველოს სპორტულ დელეგაციასთან ერთად მოსკოვს გაემგზავრება ის ძირეული კოლექტივი, რომელმაც დროულად აითვისა და დანერგა შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემა. როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, ამ სისტემამ გაამართლა იმედები. საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში შესამჩნევი გახდა ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ზრდა. სპორტსმენები უფრო ხშირად მონაწილეობენ შეჯიბრებებში და მათი სპორტტექნიკური შედეგებიც განუხრელად ვითარდება.

ამას წინათ თბილისში დამთავრდა პროფკავშირების II რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც როგორც ვიცით, სპორტსაზოგადოებათა გუნდების პარალელურად გამოდიოდნენ ძირეული კოლექტივები. უნდა ითქვას, რომ მათი შეჯიბრება ნაკლები პოპულარობით როდი სარგებლობდა და ზოგ სახეობაში შედეგებიც საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. ხელმძღვანელმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უკვე დაბეჯითებით იციან თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, სოხუმში, ბათუმსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში რა სიძლიერის კოლექტივები არსებობენ და საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის როგორ წარმართონ სამზადისი. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დებულებით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში ერთ რომელიმე კოლექტივს გაუძნელდება მთლიანად დაკომპლექტებული გუნდების გამოყვანა, ამიტომ საჭიროა ახლავე შემოწმდეს რომელ კოლექტივში რომელი სექციაა ძლიერი ტექნიკური მონაცემებით და ამის მიხედვით განაწილდეს დებულებაში გათვალისწინებული სპორტის სახეობები.

რესპუბლიკური ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისათვის, უკვე დაწყებულია მუშაობა, ასევე უნდა მოხდეს ამ უბანზეც. რაც მთავარია, ამ საქმით უნდა დაინტერესდნენ იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომელთა კოლექტივებიც მონაწილეობას მიიღებენ II სპარტაკიადაში. დაინტერესება ქაღალდზე შედგენილი ღონისძიებებით კი არ უნდა ამოიწუროს, არამედ საწარმოთა ხელმძღვანელობამ სპორტულ საზოგადოებებთან ერთად საჭიროა ახლავე შეარჩიოს ხალხი გუნდისათვის, იზრუნოს მათი ფორმისა და საწვრთნელი ბაზებისათვის. გუნდის ხელმძღვანელობა უნდა მიენდოს ისეთ მწვრთნელებს, რომლებსაც შესწევთ კოლექტივის შედუღაბებისა და კარგად მომზადების უნარი.

გარდა იმისა, რომ ყოველი ძირეული კოლექტივის ღირსების საქმეა დაიცვას რესპუბლიკის სპორტული სახელი საკავშირო ასპარეზზე, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ყველას გვავალებს მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ზემოთქმულის ცხოვრებაში გატარებას. საქმე იმაშია, რომ ძირეული კოლექტივის მიერ სპარტაკიადაზე მოპოვებული ქულები ემატება რესპუბლიკის მთელი დელეგაციის მიერ მოპოვებულ ქულათა საერთო რაოდენობას იმ შემთხვევაში თუ იგი რომელიმე დელეგაციასთან ერთად თანაბარ ქულებს დააგროვებს. მაშასადამე, რესპუბლიკის ძირითადი ნაკრები გუნდის წარმატებები საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე ძირეული კოლექტივების გუნდებზეც არის დამოკიდებული.

ეს საქმე გადადებას არ საჭიროებს. სპორტსაზოგადოებებმა, რაიონულმა კომიტეტებმა ახლავე უნდა დაიწყონ ძირეულ კოლექტივებში მუშაობის კიდევ უფრო გაცხოველება, რათა საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტს გაუადვილდეს გუნდების შერჩევა და წვრთნა.

საქმეს მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ. ამას მოითხოვს მშობლიური სპორტის განვითარების კეთილშობილური საქმე.



სურათზე — მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის აუზში მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის პირველობა ცურვაში, სადაც მოსკოველმა ლ. კოლესნიკოვმა ახალი რეკორდი დაამყარა, გაცურა რა ბრასის სტილით 200 მეტრი 2 წუთსა და 39,3 წამში.



სურათზე: ტალინში ჩატარებული საბჭოთა კავშირის პირველობა მძლეოსნობაში. შუბის მტყორცნელთა შორის გამარჯვებული ვ. კუზნეცოვი.

ფოტოები ე. საარისა და ლ. დორენსკისა. საკდესის ფოტოქრონიკა.

## კვლავ იოლანდა ბალაში

ამ მოკლე ხანში ოსლოში განზრახულია შედგეს საერთაშორისო ამხანაგური მატჩი მძლეოსნობაში ნორვეგიისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

რუმინელი მძლეოსნები აქტიურად ემზადებიან მომავალი შეხვედრისათვის მთიან კურორტ პოიანა-სტალინში.

აქ გაიმართა შესარჩევი შეჯიბრება, სადაც ცნობილმა რუმინელმა მძლეოსანმა, მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის იოლანდა ბალაშმა სცადა გაეუმჯობესებინა თავისივე რეკორდი.

ცდა წარმატებით დამთავრდა. ბალაშმა ხტომა დაიწყო 1,60 მ სიმაღლიდან და თანმიმდევრობით აიღო 1 მ 70 სმ, 1 მ 75 სმ, 1 მ 78 სმ.

ბოლოს თამასამ აიწია 1 მ 81 სმ-ზე. ი. ბალაშმა მესამე ცდაზე დაძლია სიმაღლე და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი.

## 25 წლის რეკორდი მოხსნილია

ამას წინათ ტიანცზინში გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება, სადაც არმიელმა სპრინტერმა ლიან ცზიან-სიუნმა 100 მეტრი გაირბინა 10,6 წამში.

ეს შედეგი წარმოადგენს ჩინეთის ახალ რეკორდს. ძველი რეკორდი ცხრილში იჯდა 25 წლის განმავლობაში.

17 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე აღიმართება მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის ალამი




მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის წინასწარი შეჯიბრებები დაიწყება 7 აგვისტოს

## სად, როდის და რომელ სახეობაში ჩატარდება

| აგვისტო | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | ჩატარების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩოგბურთი . . . . . . | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | — — | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | — — | 9 ს 19—30 წ | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | — — | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, თბ. კომიტეტის, ფიზ. ინსტიტუტისა და „განთიადის“ კორტები |
| კალათბურთი . . . . . | — — | — — | — — | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | — — | 9 ს 18 ს | 9 ს 19—30 წ | 9 ს 18 ს | — — | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | 9 ს 18 ს | ს. მ. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი |
| წყალბურთი . . . . . | — | — | — | 15—30 წ | 15—30 წ | 14 ს | 14 ს | 14 ს | — | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10 ს | თბ. კომიტეტისა და „განთიადის“ აუზები. |
| ფრენბურთი . . . . . | — — | — — | — — | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | — — | 9 ს 17 ს | 9 ს 19—30 წ | 9 ს 17 ს | — — | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | „განთიადის“ მოედნები. |
| ფეხბურთი . . . . . | — — | — — | — — | 9 ს 19 ს | 9 ს 19 ს | — — | 9 ს 19 ს | 9 ს 19 ს | — — | 9 ს 19 ს | 9 ს 19 ს | — — | 9 ს 19 ს | 9 ს 19 ს | — — | 9 ს 18 ს | „დინამოს“, „ბურევესტნიკისა“ და სტუდენტთა ქალაქის სტადიონები |
| მაგიდის ჩოგბურთი | — — | — — | — — | — — | — — | — — | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | 9 ს 19—30 წ | 9 ს 17 ს | 9 ს 17 ს | — — | 9 ს 17 ს | 9 ს 18 ს | ფიზ. ინსტიტუტის დარბაზი |
| მძლეოსნობა . . . . . | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | 10 ს 16—30 წ | 10 ს 19 ს | 10 ს 19 ს | 10 ს 19 ს | 10 ს 19 ს | — — | „დინამოს“ სტადიონი |
| ცურვა . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 11 ს | 11 ს | 11 ს | 11 ს | 11 ს | — | თბ. კომიტეტის აუზი |
| სროლა . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 8 ს | 8 ს | 8 ს | 8 ს | 8 ს | — | დიღმის სახროლეთი |
| ტანვარჯიში . . . . . | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | 9 ს 17 | 9 ს 18 | 9 ს 17 | 9 ს 18 | — — | ვ. ი. ლენინის სახ. დარბაზი |
| წყალში ხტომა . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 12 ს | 12 ს | 12 ს | 12 ს | — | თბ. კომიტეტის აუზი |
| ნიჩბოსნობა . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 10 ს 18 | 10 ს 18 | 10 ს 18 | 10 ს 18 | — | მცხეთის საწყლოსნო სადგური |
| ველორბოლა . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 10 ს | — | 10 ს | — | საქ. სსრ სამხედრო გზა. |

შენიშვნა: ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრებების დაწყებაში შეტანილია ცვლილებები.



მოგითხროგთ მოწინავეთა გამოცდილებაზე

## 1. ცენტრიდან ოციოდე კილომეტრით

წყალტუბოს რაიონში, ცენტრიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი ფარცხანაყანევი. პირველი შეხედვით, იგი არაფერი განსაკუთრებულით არ გამოირჩევა მეზობელი სოფლებისაგან; ისევე როგორც სხვაგან ფარცხანაყანევშიც საკოლმეურნეო შრომის ფერხულში არიან ჩაბმული; აქაც ეღერს საღამოობით ახალგაზრდების მხიარული ხმები და სიმღერა, აქაც გიზგიზებს კერიაზე ცეცხლი და მკლავმადლიანი გლეხობა თავისი შრომის მონაგარს იმკის პირნათლად, ხავაიანად.

მაგრამ, არის უბანი, რომელმაც ფარცხანაყანეველები სამაგალითოთა რიგებში ჩააყენა და მკვეთრად გამოარჩია ბევრი მეზობლისაგან. ეს უბანი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობაა, რომელიც თავისებურ, გამაკეთილშობილებელ გვირისტად ევლება კოლმეურნე გლეხობის, მისი ახალგაზრდობის შრომითს ყოფას.

ფიზკულტურული საქმიანობა რომელ სოფელში არ არის გაშლილი?! კახეთის რაიონებში, მაგალითად, კუთხეს ვერ ნახავთ სადაც წრეში გადმომხტარი ქოჩორა ბიჭები არ ერკინებოდნენ ერთმანეთს ქართულ ჭიდაობაში, ისევე, როგორც სამეგრელოს რაიონებში — ქარივით მალ მერნებზე გაკრული მკვირცხლი მხედრები არ დავობდნენ პირველობაზე. საქართველოს რომელ კუთხეს არ შემორჩა საუკუნეებს გამოლწეული ტრადიცია სპორტის ამა თუ იმ სახეობის სიყვარულისა?! მაგრამ, არა, სულ სხვაა ფარცხანაყანევი. აქ კოლმეურნე სპორტსმენთა ინტერესები ერთი ან ორი ტრადიციული სახეობით როდი შემოიფარგლება. უკვე წლების მანძილზე სოფელი კვალდაკვალ მისდევს ჩვენი ქვეყნის თანამედროვე სპორტულ ცხოვრებას, თანმიმდევრობით ითვისებს და კოლმეურნეთა მასებში ნერგავს ახალ-ახალ სპორტულ სახეობებს და მრავალ მათგანში წარმატებით მონაწილეობს.

საკმარისია ითქვას, რომ ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში სისტემატურად მოქმედებენ კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, სროლის, ქართული ჭიდაობისა და ლელობურთის სექციები, რომლებშიც მრავალი კოლმეურნეა ჩაბმული; რაიონში კი არა, ალბათ სხვაგანაც არ იქნება ისეთი საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივი, რომელსაც დღესდღეობით შეეძლოს ამდენ სახეობაში გუნდების დაკომპლექტება და შეჯიბრებებში მონაწილეობა. მაგრამ, მონაწილეობაც არის და მონაწილეობაც! რაიონული მასშტაბის შეჯიბრებებზე ამ უკანასკნელ წლებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ფარცხანაყანევის კოლმეურნეობის რომელიმე გუნდს საპრიზო ადგილზე ქვევით ჩამოენაცვლოს. აი, 1957 და 1958 წლების მაგალითებიც: კოლმეურნე სპორტსმენთა რაიონულ პირველობაზე ფარცხანაყანეველებმა დაიკავეს პირველი ადგილები კალათბურთსა და მძლეოსნობაში, მეორე ადგილები — ფრენბურთში, ფეხბურთსა და ძალოსნობაში, ხოლო სხვა სახეობებში უკონკურენტებოდ იბრძოდნენ.

საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ფარცხანაყანევში სისტემატურად სრულად ან გადაჭარბებით სრულდება ნიშნოსანთა მომზადების გეგმები: მიმდინარე წელს მშთ I საფეხურზე გეგმით გათვალისწინებული 12 ნიშნოსნის ნაცვლად მომზადდა 17, ხოლო II საფეხურზე გეგმა (5 ნიშნოსანი) სრულად იქნა განხორციელებული.

ასეთი მრავალმხრივი, ხაინტერესო, სისხლსავსე ფიზკულტურული ცხოვრებით ცხოვრობენ ფარცხანაყანეველები.

რაში მდგომარეობს ამ წარმატებათა საიდუმლოებ-?

შ. ჯულელი

(გაგრძელება იქნება)

## თასი ჩოხატაურელებს

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონული პირველობის გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო ექვსი კოლმეურნეობის ლელობურთელთა გუნდებმა. გადამწყვეტ მატჩში ხიდისთაველთა გუნდმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია კარგად მომზადებულ ჩოხატაურელებს და წააგო შეხვედრა ანგარიშით 7:18. ამრიგად, ჩოხატაურის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ლელობურთელთა გუნდმა ერთი წლის შემდეგ კვლავ მოიპოვა ჩემპიონის საპატიო წოდება და გარდამავალი თასი

გ. აბალაია

ლელო

თე-2 გვ. № 93 (1263)

# მიმდინარე წლის ლონისძიებანი

მიმდინარე წლის ალპინისტური სეზონი ჩვენმა სპორტსმენებმა ივნისის პირველ რიცხვებში გახსნეს და მიუხედავად იმისა, რომ კავკასიონზე არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები იყო, საკმაო წარმატებებსაც მიაღწიეს. თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი დ. ობოლაძე), ქუთაისელი მთამსვლელების (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი ლ. ახვლედიანი), კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენების (ხელმძღვანელი ა. ძიძიგური) ასვლებმა, პროფკავშირების ალპინიადამ (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი კ. ასტახიშვილი) და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მსმენელთა ლაშქრობამ (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი მ. ურთმელიძე) ხდის ხეობაში, ყარა-ულმის პლატოზე, მყინვარწვერსა და ორწვერზე წარმატებით ჩაიარა. მოლაშქრეებმა აიმაღლეს სპორტული კვალიფიკაცია და ჩააბარეს ნიშანზე. დღემდე მთები მოიარა 110-მა ალპინისტმა, ჩატარებულ ასვლებიდან 7 უმაღლესი კატეგორიის სიძნელისა იყო. მათგან გამოირჩევა ქუთაისელთა (ლ. ახვლედიანი, ზ. ახვლედიანი, დ. დანგაძე, ა. ახვლედიანი) ჯგუფის მიერ დაძლეული ქანქახის ტექნიკურად რთული ქარაფოვანი კედელი.

მაგრამ საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის ჯგუფების რთული საკონკურსო ასვლები კავკასიონზე მხოლოდ აგვისტოს პირველი რიცხვებიდან დაიწყება. მესტიელმა მთამსვლელებმა დაამთავრეს მწვერვალ ჩატინის (4363 მ) რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლის ტექნიკურად რთული და მეტად სახიფათო სამხრეთ-აღმოსავლეთის ჯერ გაუვალი კედლის დაზვერვა. შედგენილია სვლიგეზი და წინასწარი ვარჯიშების შემდეგ ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ბექნუ ხერგიანი (ჯგუფში შედიან ჭ. ჩართოლანი, მ. გვარლიანი, ი. გაბლიანი) გაემგზავრება კედლის დასაძლევად. დასავლეთ შხარაზე (5201 მ) სამხრეთის შვეული კედლით საკონკურსო ასვლისათვის შემდგარმა ჯგუფმა დაამთავრა მოსამზადებელი მუშაობა, მალე გაემგზავრება ხალდეს ყინვარზე და შეუდგება კედლის დაზვერვას. ამ ტექნიკურად რთული ასვლის მონაწილეები არიან სპორტის ოსტატები დ. ობოლაძე (ხელმძღვანელი), გ. დევიძე, პირველთანრიგოსნები ა. ძიძიგური, დ. დანგაძე, ო. კაპანაძე და გ. თიკანაძე.

ამ დღეებში დაიწყება უძნელესი და უგრძესი ტრავერსი კავკასიონის მთავარ ქედზე. მთამსვლელები ქედ-ქედ მწვერვალიდან მწვერვალზე ძირსდაუშვებლად გაივლიან ფასის მთიდან თეთნულდამდე. მათ მოუხდებათ 15-მდე მწვერვალის აღება. ამ ტრავერსს შეასრულებს ლენტეხელ მთამსვლელთა ჯგუფი სპორტის ოსტატის გ. გულბანის (ხელმძღვანელი), ს. გუგავას, დ. გუგავას შემადგენლობით. მოტრავერსეებს დამხმარისა და მოთვალთვალის სამსახურს გაუწევენ ლენტეხელი ახალგაზრდა მთამსვლელები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოჩამოთვლილი ჯგუფები ჩაატარებენ საკლასიფიკაციო ასვლებსაც. ასეთივე საქმიანობა გაიშლება სასწავლო ალპინისტურ ბანაკებში.

წელს პირველად ქართველი მთამსვლელები მონაწილეობას მიიღებენ სპელეოლოგიურ ექსპედიციაში. ალპურ კლუბს განზრახული აქვს ოხაჩქუეს მიდამოებში მიწისქვეშა კარსტულ მღვიმეებში სპორტული სარეკორდო ჩასვლების მოწყობა. ახლა მიმდინარეობს ამ მღვიმეების დაზვერვა, რომელსაც ხელმძღვანელობს გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი ლ. მარუაშვილი. ამას გარდა, მიმდ. ნარე წელს განზრახულია მრავალი ალპინიადის მოწყობა, რომლებიც მიეძღვნება ჩვენი საყვარელი თბილისის 1500 წლისთავს.

ცალკე უნდა შევჩერდეთ საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა ღონისძიებებზე. საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ მიმდინარე წლის 17 ივნისს ნეპალის მეფე საქართველოში ყოფნისას ეწვია ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბს. ნეპალის მეფემ მაშინ მთამსვლელებს ნეპალში ჩასვლისა და ჰიმალაის რომელიმე მწვერვალზე ლაშქრობის ნება დართო. ამრიგად, საქართველოს მთამსვლელებს საშუალება ეძლევათ მოაწყონ ექსპედიცია საზღვარგარეთ, რომლის გასვლა ნავარაუდევია 1959 წლის მარტის პირველ რიცხვებში, რათა მაისში (ჰიმალაიში ლაშქრობის საუკეთესო თვეა) ჩაატარონ მსოფლიოს ზოგიერთი უმაღლესი მწვერვალის იერიში. მაგალითად, ლოძეს — 8547 მ ან, სათანადო დაზვერვისა და ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში ცადონ დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ჯომოლუნგმას (ევერესტი — 8882 მ) დალაშქვრა.

როგორც ვხედავთ საქართველოს მოსიმაღლეებმა მეტად რთული ამოცანა დაისახეს. ალპურმა კლუბმა მისი განხორციელებისათვის უკვე დაიწყო მზადება. ახლა მთავარია ამსვლელთა ჯგუფის დაკომპლექტება, რომელიც, როგორც გადაწყვეტილია, მოხდება პამირში, ლენინის პიკზე — 7134 მ საწვრთნელი ასვლების შემდეგ. უახლოეს დღეებში ოშში (ყირგიზეთის სსრ) გაემგზავრება საქართველოს მთამსვლელთა ჯგუფი, რომელიც რამდენიმე ულელტეხილის გადალახვის შემდეგ მიადგება ლენინის პიკის მისადგომებს და 4200 მეტრის სიმაღლეზე მოაწყობს საიერიშო ბანაკს. ჯგუფში შედიან სპორტის ოსტატები ჯ. [illegible], ლ. ახვლედიანი, [illegible] ახვლედიანი, ო. ხაზარაძე, [illegible] ნიძე, ა. აბაშიძე; პირველთანრიგოსნები შ. მირიანაშვილი, ო. ბერაძე, ს. ხაბეიშვილი, გ. მაჭარაშვილი, ნ. ნადირაშვილი, ა. ქავთარაძე, შ. ჩართოლანი და პ. გვარლიანი.

ლენინის სახელობის პიკზე საწვრთნელი ასვლებისათვის მიემგზავრება აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მოსიმაღლეთა გაერთიანებული დიდი ჯგუფი, რომელიც ჩაატარებს საწვრთნელ ასვლებს, დააკომპლექტებს გუნდს და შეეცდება ჩინეთიდან ჯომოლუნგმაზე ასვლას. ამ ჯგუფში საქართველოდან შევლენ მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი. ლენინის პიკზე ვარჯიშის დროს ორივე ჯგუფი გამოცდის ჟანგბადის აპარატებს, რომელიც გამოყენებულ იქნება ჰიმალაიში ლაშქრობის დროს.

ა. ივანიშვილი,
საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის დირექტორი.

### საქართველოს პირველობა

მეორე ჯგუფის მდგომარეობა 30 ივლისისათვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) | 14 | 9 | 4 | 1 | 30:14 | 22 |
| წულუკიძე (ნაკრები) | 13 | 6 | 2 | 5 | 22:19 | 14 |
| „ცისკარი" (ბათუმი) | 13 | 4 | 5 | 4 | 14:14 | 13 |
| „იმერეთი" (ზესტაფონი) | 12 | 4 | 4 | 4 | 23:14 | 12 |
| „სპარტაკი" (საჩხერე) | 12 | 5 | 2 | 5 | 19:21 | 12 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 11 | 2 | 6 | 3 | 14:16 | 10 |
| სახ. სამ. ტექ. (დიდიჯიხაიში) | 12 | 4 | 2 | 6 | 16:22 | 10 |
| „განთიადი" (წყალტუბო) | 13 | 3 | 4 | 6 | 13:25 | 10 |
| ადგ. მრეწ. სამმ. (ქუთაისი) | 10 | 1 | 5 | 4 | 11:17 | 7 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ცხაკაია) | 11 | 8 | 2 | 1 | 24:12 | 18 |
| „კოლხიდა" (ხობი) | 13 | 6 | 4 | 3 | 22:13 | 16 |
| გუდაუთა (ნაკრები) | 13 | 7 | 0 | 6 | 23:29 | 14 |
| „კოლმეურნე" (ოჩამჩირე) | 11 | 6 | 1 | 4 | 22:21 | 13 |
| „განთიადი" (ბათუმი) | 11 | 5 | 2 | 4 | 27:28 | 12 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 12 | 4 | 3 | 5 | 22:23 | 11 |
| სამშ. სამმ. № 2 (გაგრა) | 13 | 4 | 3 | 6 | 24:20 | 11 |
| „განთიადი" (ტყვარჩელი) | 10 | 3 | 1 | 6 | 11:16 | 7 |
| „კოლმეურნე" (გალი) | 12 | 3 | 0 | 9 | 17:27 | 6 |

# ნიკოტინი ჩვენი წარმატების მტერია

წერილში — „უნდა აიკრძალოს", რომელიც „ლელოს" 10 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა, მეტად აქტუალური, საჭირბოროტო საკითხი წამოჭრა პირველთანრიგოსანმა მოჭადრაკემ პ. მორჩილაძემ. მართლაც და აბა წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: დახურულ დარბაზში, კალათბურთელთა ან ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის დროს, პაპიროსის კვამლის ბული დგას; მეტიც, ამაში „ღვაწლი" თვით ასპარეზობის მონაწილეებს მიუძღვით — თამაშის დროს ისინი განუწყვეტლივ და უცერემონიოდ უკიდებენ პაპიროსს პაპიროსზე და აბოლებენ... ხომ აბსურდია?! აი, პრინციპში სწორედ ასეთ აბსურდთან გვაქვს საქმე მოჭადრაკეთა შეჯიბრების დროს, როცა მეტოქეები ერთმანეთს უბოლებენ შხამიან კვამლს, ან, რაც უარესია — მწეველი მოჭადრაკე ნიკოტინს მიუჩვეველ მოწინააღმდეგეს უხრჩოლებს და ამით, ერთდროულად, უპატივცემლობასაც იჩენს მისდამი და უუარესებს კიდევაც ასპარეზობის პირობებს, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მას.

მაგრამ საკითხი მხოლოდ მოჭადრაკეებითა და ასპარეზობის მსვლელობის დროს თამბაქოს მოწევით არ შემოიფარგლება — ის გაცილებით უფრო ფართოდ დგას, ფართოდ იმიტომ, რომ საერთოდ თამბაქოს წევა, ნიკოტინი ჩვენი სპორტსმენების დაუძინებელი მტერია, ვინაიდან მისი მოქმედება მხოლოდ შეჯიბრების პროცესით არ ამოიწურება; ის, როგორც შხამი მძიმე და სავალალო შედეგებს ტოვებს სპორტსმენის სხეულში — ტვინზე, გულზე, ფილტვებზე — უძაბუნებს მას მომავალ ასპარეზობებში მაღალი შედეგების მიღწევის უნარს, შესაძლებლობებს.

თუ სხვა სახეობებში სპორტსმენთა შეჯიბრების დროს წარმოუდგენელია ზემოაღწერილი აბსურდული სურათი, სამაგიეროდ, ასეთი რამ რეალურად ხდება და საკმაოდ ხშირადაც: ტაიმსა და ტაიმს შუა, შესვენებაზე გამოსული სპორტსმენი, რომლის სხეულიც ეს-ესაა მძიმე სპორტული ბრძოლის სიმძიმეს განიცდიდა, არხეინად მიწვდება პაპიროსის კოლოფს და დაუფიქრებლად გააბოლებს. რა ხდება ამის შედეგად? გახურებულ, დაქანცულ სხეულში იჭრება ნიკოტინის შხამი, მისი გამანადგურებელი, მომშლელი მოქმედება ეწვევა ტვინის უჯრედებს, სასუნთქავ და სისხლის მიმოქცევის ორგანოებს, არიტმულობას შეიტანს მათ მუშაობაში და მაშასადამე სპორტსმენიც, რომელსაც წინ კიდევ საპასუხისმგებლო და დამქანცველი ბრძოლა მოელის, ჰკარგავს დიდ ნაწილს იმ შესაძლებლობიდან, რომლებიც მას ამ ბრძოლაში უნდა ჩაექსოვა და თავისი გუნდის გამარჯვებისათვის მიეძლვნა. და განა მხოლოდ ერთი თამაშით ან გამოსვლით შემოიფარგლება ყოველივე ეს?! ისევე, როგორც ყოველი შხამი, ნიკოტინიც თანდათანობით, სულ უფრო დაბეჯითებით და საფუძვლიანად აკეთებს თავის გამანადგურებელ, მავნებლურ საქმეს, შლის იმ ადამიანის ნერვულ სისტემას, რომელსაც ყველაზე მეტად გამძლე ნერვები ესაჭიროება, უჩლუნგებს გონებას, აზროვნების უნარს, რომელიც უძვირფასესი თვისებაა სპორტული ბრძოლის სიტუაციაში გარკვევისათვის, ურღვევს სუნთქვას და სისხლის ნორმალურ მიმოქცევას, ურომლისოდაც შეუძლებელია ნამდვილ დაძაბულ შეხვედრებში გაძლება და მონაწილეობის მიღებაც კი. ყოველივე ამის შედეგია, რომ თამბაქოს მწეველი სპორტსმენები გაცილებით ადრე ტოვებენ სპორტულ ასპარეზს, ადრე ჩამოდიან თავიანთი საუკეთესო სპორტული ფორმის ზენიტიდან და სულ მალე კარგავენ იმ ძვირფას თვისებასა და მონაცემებს, რომლებიც მათ დაბეჯითებული შრომისა და წვრთნის შედეგად მოიპოვეს. ამით კი ზიანი მოსდის არა მხოლოდ ერთ სპორტსმენს, არამედ იმ შედეგებსაც, რომლებსაც მისგან ველოდით, მისი კოლექტივის შედეგებს და საერთოდ — ჩვენი სპორტის წინსვლისა და მაღალი მიღწევების მოპოვების საქმეს.

ყოველივე ამას უნდა დაუფიქრდნენ თვით სპორტსმენები და ისინიც, რომლებსაც მათი სპორტული ბედი, ჩვენი სპორტული მომავალი და წარმატებების მოპოვება აბარიათ ხელთ. ეს, უპირველესად ყოვლისა, მწვრთნელების საქმეა და ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით მათ დაუძინებელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ თავიანთ აღზრდილთა ამ მავნე ჩვევას. თუ ვებრძვით ლოთობას იმისათვის, რომ იგი ადამიანის შრომითსა და შემოქმედებითს უნარს აძაბუნებს, უნდა ვებრძოლოთ ნიკოტინსაც, ვინაიდან ისიც ჩვენი მიღწევების, რეკორდებისა და გამარჯვებების მავნე მტერია.

ამ ბრძოლისათვის ჩვენ ყველა უფლება გვაქვს!

ვ. ბალავაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.





✦

ქიათურაში დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა კალათბურთში „ბ" კლასის გუნდებს შორის. გამარჯვება წილად ხვდათ წულუკიძის ქალთა და სამტრედიის ვაჟთა გუნდებს.

სურათებზე: გამარჯვებული გუნდები.

ფოტო ვ. ხარატიშვილისა

✦

# მოსწავლეთა ლაშქრობა

ნიჩბისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა: ნიჩბისი-ქვათახევი-ნოსტე-ნიჩბისი.

ლაშქრობა საინტერესოდ და შინაარსიანად ჩატარდა. მოსწავლეებმა დაათვალიერეს ქვათახევისა და ნოსტეს ისტორიული ღირსშესანიშნაობანი.

გ. ყეინოშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭადრაკი სამტრედიელი რკინიგზელების საყვარელი გასართობია. სურათზე: მემანქანე ინსტრუქტორი გ. მშვენიერაძე და მემანქანე გ. შენგელია შესვენების დროს თამაშობენ ჭადრაკს.

# ორი საჭადრაკო პარტია

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, ვილნიუსში დამთავრებულ საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაში თავი ისახელეს საქართველოს ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა. მათ რამდენიმე საინტერესო პარტია ითამაშეს და საგულისხმო გამარჯვებები მოიპოვეს. ქვემოთ მოგვყავს ოსტატობის კანდიდატების თ. ლომაიას პარტია გროსმაისტერ ა. ტოლუშთან და გ. მაჭავარიანის პარტიის დაბოლოება ესტონელ ოსტატობის კანდიდატ პიტკსაართან.

## თ. ლომაია — გროსმაისტერი ა. ტოლუში

ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. e3 c5 5. მf3 0—0 6. კd3 d5 7. 0—0 dc 8. კ:c4 b6 9. ლe2 კb7 10. dc კ:c3 11. bc bc 12. მd2 მbd7 13. კd3 მe5 14. კc2 ლc7 15. c4 ეab8 16. ეb1 ეfd8 17. f4 მd7 18. კb2 e5 19. მf3 ef 20. ef ეe8 (თუ 20. ... ლ:f4, მაშინ 21. მe5 ძლიერი მუქარებით) 21. მe5 მf8 22. ეe1 ეe7 23. ლf2 ეbe8 24. კc3 მ6d7 25. ლg3 f6 26. ე:b7 (ნაცვლითი კომბინაცია) ლ:b7 27. კe4 ლc8 28. კd5+ მფh8 29. მf7+ ე:f7 30. კ:f7 ე:e1 31. ლ:e1 ლc7 32. ლe4 ლd6 33. მფf2 მb6 34. მფe2 g6 35. g4 მფg7 36. კd5 მ:d5 37. ლ:d5 ლ:f4 38. g5 ლg4+ 39. მფd2 მd7 40. ef+ მფf8 (40. ... მ:f6 შავები წააგებდნენ დაბმის გამო) 41. ლd6+ მფg8 42. ლe7 ლg2+ 43. მფd3 ლf3+ 44. მფc2 ლg2+ 45. მფc1 ლh1+ 46. მფc2 ლg2+ 47. კd2 მ:f6 48. ლ:f6 ლ:h2 49. ლf4 ლh5 50. ლb8+ მფf7 51. ლ:a7+ მფe6 52. ლb6+ მფd7 53. ლb7+ მფe6 54. ლe4+ მფd7 55. a4 ლh2 56. ლd5+ მფe8 57. a5 ტოლუში დანებდა

ამ პარტიაში თ. ლომაიამ პოზიციური თამაშის კარგი ცოდნა გამოავლინა. მან მეთოდურად შეავიწროა შავები, მოუსპო მათ აქტიური ბრძოლის საშუალება. პარტიის დასკვნითი ნაწილი ჩინებულადაა გათამაშებული.

* * *

## პიტკსაარი



## გ. მაჭავარიანი

თითქოს შავების პოზიცია ძიუპალია, მაგრამ მაჭავარიანი კომბინაციური დარტყმებით ამსხვრევს მას. 1. მf5 კf3 2. g5 fg 3. კ:g5 bc 4. bc ლc8 5. კf6 მ:f5 6. ef კ:f5 7. მh4 მh6 8. მ:f5 მ:f5 9. ე:g6+ hg 10. ე:g6 მფf7 11. ლg5 ეb2 12. ეg8 მ:h4 13. ეg7+ შავები დანებდნენ.

# პორტოროჟის ტურნირი

იუგოსლავიის ულამაზეს კურორტ პორტოროჟში, რომელიც ადრიატიკის ზღვის ნაპირზე მდებარეობს, დღეს დაიწყება საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირი. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ დაამტკიცა ტურნირის შემდეგი შემადგენლობა — გროსმაისტერები: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მ. ტალი, დ. ბრონშტეინი, ტ. პეტროსიანი, ი. ავერბახი (საბჭოთა კავშირი), ს. რეშევსკი (ამერიკის შეერთებული შტატები), ს. გლიგორიჩი, ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია), ლ. პახმანი, მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), ო. პანო (არგენტინა), ბ. ლარსენი (დანია), ლ. საბო (უნგრეთი); საერთაშორისო ოსტატები: ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი რ. ფიშერი, ისლანდიის ჩემპიონი ფ. ოლაფსონი, არგენტინის ჩემპიონი რ. სანგინეტი, ბულგარეთის ჩემპიონი ო. ნეიკირხი, ფილიპინების ჩემპიონი რ. კორდოსო, ბ. დეგრეიფი (კოლუმბია), პ. ბენკო (უნგრეთი), გ. როსეტო (არგენტინა) და გ. ფიუშტერი (კანადა).

ამ სიიდან ნათლად ჩანს, რომ ტურნირში თავი მოუყრია ჩვენი დროის თითქმის ყველა გამოჩენილ ახალგაზრდა მოჭადრაკეს. საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გროსმაისტერ მ. ტალისა და 15 წლის რ. ფიშერის თამაში.

საბჭოთა ჩემპიონი (ისევე, როგორც ამერიკელი) პირველად მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემაში. მ. ტალმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საკმაოდ დიდი წარმატებები მოიპოვა და საზღვარგარეთის პრესა მას პირველი ადგილის ერთ-ერთ სერიოზულ პრეტენდენტად თვლის. ბობ ფიშერის შესახებ ახლა ბევრს წერენ და ლაპარაკობენ მთელს მსოფლიოში. ამერიკელის მიღწევები მის ასაკთან შედარებით იმდენად თვალსაჩინოა, რომ მას „ჭადრაკის მოცარტს" უწოდებენ.

მართლაც განცვიფრებას იწვევს ფიშერის საჭადრაკო ძალა. მან შესანიშნავად იცის თეორია, ათი წლიდან კითხულობს „შახმატი ვ სსრ"-ს. იგი დებიუტებში არ ეძებს რაიმე ახალს, მოულოდნელს. ნიჭიერი ჭაბუკის თამაშის მანერა პოზიციურია. იგი მოთმინებით თამაშობს ძნელ დაბოლოებებს, მაგრამ ფიშერს მისი თაყვანისმცემლები დათვურ სამსახურს უწევენ და გადაჭარბებით, ზედმეტად აქებენ, რამაც შეიძლება ბავშვის მორალური მხარე შელახოს. მაგალითად, ფიშერის დედას ნიუ-იორკიდან დეპეშა გამოუგზავნია იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის სახელზე, რომ მას შვილს ჯილდოდ მისცენ საიუველირო ან ოპტიკური ძვირფასი საჩუქარი. და ეს მაშინ, როცა ტურნირი ჯერ არც დაწყებულა.

რასაკვირველია, სხვა გროსმაისტერები იოლად არავის დაუთმობენ საპრიზო ადგილებს. გლიგორიჩი და ბრონშტეინი, პეტროსიანი და საბო, რეშევსკი და პანო — აი კიდევ ვისა აქვთ პრეტენდენტთა ტურნირში მოხვედრის რეალური შანსები. ბრძოლა იქნება ძნელი და შეუპოვარი.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ დაადგინა, რომ პრეტენდენტთა ტურნირში, რომლის ჩატარება ნაგულისხმევია 1959 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირიდან დაიშვება მხოლოდ ოთხი მოჭადრაკე. როგორც ცნობილია ამ ტურნირში მონაწილეობის უფლება უკვე აქვთ ვ. სმისლოვს და პ. კერესს, ე. ი. პორტოროჟის ტურნირიდან პრეტენდენტებში გასვლა შეუძლია მხოლოდ ორ საბჭოთა გროსმაისტერს, სულ კი პორტოროჟის ტურნირიდან პრეტენდენტების ტურნირში მოხვდება ხუთი მოჭადრაკე.

თ. გიორგაძე

# რაიონის ჩემპიონები

დამთავრდა წითელწყაროს რაიონის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

შეჯიბრების მსვლელობაში გამოვლინდა ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭიდავე. ასე მაგალითად, პირველსავე შეხვედრიდან მიიპყრო ყურადღება არბოშიკელმა ო. დათუკიშვილმა, წითელწყაროელებმა ი. ლაპიაშვილმა, ო. ჩოხელმა და სხვ. რაიონის ჩემპიონები ზემოთჩამოთვლილ მოჭიდავეთა გარდა გახდნენ ჯ. გოგიაშვილი (ზემო მაჩხაანი), დ. ქენქაძე (ზემო ქედი), მ. ბექიშვილი (ჯაფარიძე), ე. ბულაშვილი (არბოშიკი), ო. წიკლაური (ზემო ქედი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ზემო ქედის ნაკრებმა გუნდმა.

ვ. ტოკლიკიშვილი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 აგვისტოსათვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 13 | 8 | 4 | 1 | 33:15 | 20 |
| ცსკ მო | 15 | 8 | 4 | 3 | 31:16 | 20 |
| „ზენიტი" | 12 | 6 | 4 | 2 | 25:13 | 16 |
| „შახტიორი" | 13 | 6 | 3 | 4 | 14:15 | 15 |
| „ლოკომოტივი" | 12 | 5 | 4 | 3 | 20:14 | 14 |
| „დინამო" მ. | 13 | 6 | 2 | 5 | 24:17 | 14 |
| „ტორპედო" | 12 | 3 | 6 | 3 | 29:26 | 12 |
| „დინამო" თბ. | 14 | 5 | 2 | 7 | 25:41 | 12 |
| „დინამო" კ. | 12 | 2 | 6 | 4 | 19:19 | 10 |
| „მოლდოვა" | 13 | 2 | 5 | 6 | 15:27 | 9 |
| „კრ. სოვეტოვი" | 13 | 1 | 6 | 6 | 7:18 | 8 |
| „ადმირალტ." | 14 | 3 | 0 | 11 | 17:38 | 6 |

* * *

მოსკოვი. 3 აგვისტო. მატჩში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო" (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი).

ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა „დინამომ".

# მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში შედგა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკ მო და თბილისის „დინამო".

პირველი ტაიმი თბილისელთა შტურმით დაიწყო, მაგრამ მოსკოველებმა მალე გაათანაბრეს თამაში და 26-ე წუთზე აპუხტინმა გახსნა ანგარიში. ტაიმის ბოლომდე არმიელებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს და ტაიმიც დამთავრდა.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა თითქოს გააუმჯობესეს თამაში, მაგრამ მათი დარტყმები მიზანს ვერ აღწევდა. მოსკოველთა მიერ დამატებით გატანილ ორ გოლს დინამოელებმა ერთით (11-მეტრიანი საჯარიმოდან) უპასუხეს.

მატჩი დამთავრდა ცსკ მო-ს გამარჯვებით ანგარიშით 5:1.

* * *

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 1:0.

ლენინაკანი. 3 აგვისტო. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „შირაქი" (ლენინაკანი) — სკვო (თბილისი).

მატჩი მოიგეს თბილისელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

# პელე—100 მილიონი, გარინჩა—90 მილიონი...

ხმაურით, სენსაციებითა და არნახული აჟიოტაჟით განვლო ფეხბურთში მსოფლიო პირველობის დღეებმა. სტოკჰოლმში, გეტებორგში, მალმეში, ნორჩეპინგში, ბუროსში — იქ, სადაც სულ ამ ცოტა ხნის წინ გაცხარებული საფეხბურთო ბრძოლები მიმდინარეობდა, თანდათან ცხრება ვნებათა ღელვანი და აფორიაქებული სპორტული ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში დგება.

შვედ ფეხბურთის მოყვარულებს ერთადერთი სანუკვარი ოცნება ამოძრავებდათ, რომ როგორმე მათს ქვეყანაში დარჩენილიყო ჟიულ რიმეს თასი, მაგრამ ისინი ბოლოსდაბოლოს მაინც იძულებული იყვნენ ქედი მოეხარათ ბელინის, გარინჩას, დიდის, პელეს, ვავას, მაცოლას, ორივე სანტოსისა და სხვათა ვირტუოზული თამაშის წინაშე და ერთხმად ეღიარებინათ, რომ „ოქროს ქალღმერთმა" თავის მფლობელად სავსებით სამართლიანად აირჩია ბრაზილიის შესანიშნავი გუნდი.

ბევრი რამ მოხდა საინტერესო იმ დღეებში შვეციაში. ფეხბურთელები თავგამოდებით იბრძოდნენ მწვანე მინდვრებზე, მაყურებლები გამაყრუებელი ყიჟინით განიცდიდნენ ბრძოლის პერიპეტიებს, რადიოსა და ტელევიზორებს შორის მიჰქონდათ ცხელ-ცხელი ამბები, ხოლო სხვადასხვა ფირმები წარმოუდგენელი რაოდენობით ჰყიდდნენ სპეციალურად ჩემპიონატისათვის გამოშვებულ საქონელს.

აუარებელ სტუმრებს შორის, რომლებიც სპეციალურად ფეხბურთისათვის ჩამოვიდნენ შვეციაში, იყო „სპეციალისტთა" ერთი კატეგორიაც, თვალით უჩინარი და ჩუმი ხალხი, რომლებიც არ აცდენდნენ ბრაზილიელებისა და სხვა ფავორიტების არც ერთ მატჩს. ბინოკლებით უცქეროდნენ სამხრეთ-ამერიკელი და ევროპელი ფეხბურთელების ვირტუოზულ ტექნიკასა და ლამაზ კომბინაციებს. მათს საქმიან სახეებს არ ცილდებოდა სერიოზული, დაფიქრებული გამომეტყველება.

ეს სხვადასხვა ქვეყნის პროფესიონალური კლუბების წარმომადგენლები იყვნენ. აქ მათ „ცოცხალი საქონლით" მოვაჭრეებს უწოდებენ, ვინაიდან ამ დაურიდებელ „კომერსანტებს" მხოლოდ ერთი რამ აინტერესებთ — რაც შეიძლება იაფად და სარფიანად შეიძინონ უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, ნამდვილი ბაზრული ვაჭრობით იყიდონ ახალგაზრდა ტალანტი. იყიდონ და მერე, თუ კარგი მყიდველი გამოჩნდება, ისევ გაჰყიდონ.

საფეხბურთო მტაცებლებს სქლად დატენილი პორტფელებიდან ამოჰქონდათ ბლოკნოტები და გაფაციცებით იწერდნენ რაღაცას. ასე გამოჩნდა მათს ფურცლებზე გვარები: პელე, ვავა, გარინჩა, მაცოლა, ფონტენი, კოპა, ჩარლზი, გრეგი... ამ გვარების გასწვრივ ექსპერტის ლაკონიურობით იწერებოდა ფეხბურთელთა დამახასიათებელი თვისებები, ჩვეულებანი, ასაკი და... სავარაუდო წინასწარი ფასი.

ტელეგრაფს მოჰქონდა მოკლე და კატეგორიული მითითებანი იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის კლუბების ფინანსური მმართველებისაგან. საფეხბურთო ბირჟა მთელი დატვირთვით მუშაობდა.

საოცარია, როგორ ახერხებდნენ ამას საფეხბურთო სპეკულანტები, მაგრამ ისინი ცალკე ნახულობდნენ მოთამაშეებს, „სამოთხის ცხოვრებას" პირდებოდნენ მათ.

თანხა, რომელსაც კლუბების წარმომადგენლები იძლევიან ფეხბურთელთა შესაძენად სხვადასხვაა, მაგრამ ფრანგი მენაჭერების მიერ ოფიციალურად იქნა გამოცხადებული წინასწარი სააუქციონო ფასები ფეხბურთელებზე (ფრანკებში):

100 მილიონი — პელე (ბრაზილია, მხედველობაში მიღებულ იქნა მისი სიახალგაზრდავე);

90 მილიონი — გარინჩა (ბრაზილია);

80 მილიონი — კოპა, ფონტენი (საფრანგეთი), ვავა (ბრაზილია);

75 მილიონი — დიდი (ბრაზილია, მხედველობაში იქნა მიღებული მისი ხანდაზმულობა);

60 მილიონი — ნილტონ სანტოსი, ბელინი, ჰამრინი (შვეცია);

50 მილიონი — პიანტონი (საფრანგეთი), გრეგი (ჩრდ. ირლანდია), რანი (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა), ზებეცი (იუგოსლავია) და ა. შ.

მართალია, ეს ჯერ მხოლოდ „დიპლომატური" ფასებია მაგრამ მალე ჭამაში მოდის და შეიძლება სულ მალე ძალაში შევიდეს აუქციონის ჩაქუჩი. ამიტომ ბრაზილიის კლუბების ხელმძღვანელები და ფეხბურთის მეცენატები შიშით შესცქერიან მდგომარეობას საერთაშორისო ბაზარზე და თვალს არ აცილებენ თავიანთ ფეხბურთელებს.

მსოფლიო ჩემპიონების ყიდვა შედარებით იოლია. გაცილებით ძნელია მათი გამოზრდა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03948